სტრატეგია

სტრატეგია ეფუძნება ორგანიზაციის მისიას, მიზნებს, ხედვებსა და ღირებულებებს, არსებულ შესაძლებლობებსა და გამოწვევებს. დოკუმენტი მიზნად ისახავს ნათლად განსაზღვრული, განჭვრეტადი სტრატეგიული ჩარჩოს შექმნას, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ორგანიზაციას, რეაგირება მოახდინოს არსებულ საჭიროებებსა და გამოწვევებზე. დოკუმენტი დაეხმარება ორგანიზაციას, სათანადოდ შეასრულოს წესდებით გათვალისწინებული ამოცანები და აქტივობები.

<u>ორგანიზაციის შესახებ</u>

„ქალების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის“ არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ქალთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის საკითხებზე 2021 წლიდან მუშაობს. საზოგადოების არაჯანსაღი კულტურული მახასიათებლების აღმოფხვრისა და ცნობიერების ამაღლების ერთ-ერთი მთავარი საშუალება ინფორმაციის ხელმისაწვდომობაა. <u>ორგანიზაცია არსებობს იმისთვის, რომ</u> ინფორმაციულად გააძლიეროს ქალები და სხვა მარგინალიზებული ჯგუფები.

ორგანიზაციაში გამოიყოფა სამი მთავარი სტრატეგიული მიმართულება: ქალებისა და სხვა ჩაგრული ჯგუფების ინფორმაციული გაძლიერება; სექსუალური განათლების ხელშეწყობა; ფემინისტური მედია გაშუქების ხელშეწყობა. ორგანიზაცია ასევე მუშაობს ქალებისთვის ჯანდაცვის სერვისების შესახებ ინფორმაციული ხელმისაწვდომობის მიმართულებით.

სტრატეგიული მიმართულება #1: თემის მობილიზება და გაძლიერება

ქალებისა და სხვა ჩაგრული ჯგუფების (ქვიარი და შშმ ქალები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები) მობილიზება, ინტეგრაციის ხელშეწყობა და თემის გაძლიერებისთვის ხელშემწყობი ატმოსფეროს შექმნა ორგანიზაციის ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს.

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, მიზანშეწონილია სპეციფიკური <u>ამოცანების</u> შესრულება:

- ქალებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ფსიქო-სოციალური გაძლიერება და ცნობიერების ამაღლება;
- ქალებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის უსაფთხო სივრცის შექმნა სისტემატური მუშაობის გზითა და თავად თემის წევრების უშუალო ჩართულობით;
- ქალებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ინდივიდუალური გაძლიერების ხელშეწყობა;
- ქალებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ინფორმაციული გაძლიერება/ცნობიერების ამაღლება;
- ქალებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა;

- თემის თვითდახმარების მექანიზმის შექმნა, რაც მათ შესაძლებლობას მისცემთ, მათ წინაშე არსებული პრობლემებსა და გამოწვევებს გაუმკლავდნენ და დაეხმარონ თემის ყველაზე მოწყვლად წევრებს;
- თემის წევრების ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- თემის წევრების ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა;
- ქალებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ოჯახების მხარდაჭერა და გაძლიერების ხელშეწყობა;

სტრატეგიული მიმართულება #2: ახალგაზრდების მობილიზება და ორგანიზაციის საქმიანობით დაინტერესება/ჩართულობა

ახალგაზრდების მობილიზება და ჩართულობა ორგანიზაციის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს. სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, მიზანშეწონილია სპეციფიკური ამოცანების შესრულება:

- ახალგაზრდებისთვის არაფორმალური გზით განათლების უზრუნველყოფის ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება ორგანიზაციის საქმიანობისა და ღირებულებების შესახებ;
- ახალგაზრდების აქტივობებისა და ინიციატივების მხარდაჭერა ორგანიზაციის მიერ;
- მოხალისეობრივი შესაძლებლობების შექმნა ახალგაზრდებისათვის;

სტრატეგიული მიმართულება #3: ჯანდაცვისა და ფსიქოსოციალური სერვისების ინფორმაციული ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა მოწყვლად ჯგუფებში

ქალები და სხვა მოწყვლადი ჯგუფები ხშირად აწყდებიან პრობლემებს ჯანდაცვის სერვისებზე ხარისხიანი ხელმისაწვდომობის კუთხით.

ჯანდაცვის სერვისების ინფორმაციული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხელშეწყობის სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, მიზანშეწონილია სპეციფიკური ამოცანების შესრულება:

- ქალებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების მიერ ზოგადი და სპეციფიკური ჯანდაცვის სერვისებზე ინფორმაციული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- ქალებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების მიერ მენტალური ჯანმრთელობის სერვისებზე ინფორმაციული ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა;

- ქალებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების მიერ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებით სარგებლობის ინფორმაციული ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა;
- ძალადობის სხვადასხვა ფორმის მსხვერპლი ქალებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ზოგადი და სპეციფიკური ჯანდაცვისა და ფსიქოემოციური რეაბილიტაციის სერვისებზე ინფორმციული ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა;
- სექსუალური ძალადობისა და გაუპატიურების მსხვერპლი ქალებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისათვის სპეციფიურ ჯანდაცვის სერვისებზე ინფორმაციული ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა;
- ქალებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ინფორმირება ზოგადი და სპეციალური ჯანდაცვის სერვისების შესახებ;

სტრატეგიული მიმართულება #4: ფემინისტური განათლების (გაშუქების) ხელშეწყობა მედიაში

მედიებში ხშირად ქალებთან დაკავშირებით საკითხები არაეთიკურად და სტერეოტიპულად შუქდება, სადაც ქალი დაქვემდებარებული პერსპექტივიდან და სტერეოტიპულად არის გაშუქებული. არ არსებობს მედიებში საკითხების ფემინისტური გაშუქების პერსპექტივა; ქალების პრობლემები და საჭიროებები არ არის ხილვადი და ნაკლებად დგება დღის წესრიგში.

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, მიზანშეწონილია სპეციფიკური <u>ამოცანების</u> შესრულება:

- ფემინისტური მეინსტრიმინგის ხელშეწყობა;
- არაფორმალური განათლების შესაძლებლობების ადაპტირება მედიის ფემინისტური განათლების ხელშეწყობის მიზნით;
- ფემინისტური მედიაპლატფორმის შექმნა;

სტრატეგიული მიმართულება #5: ადვოკატირების/ადვოკაციის შესაძლებლობების განვითარება

ადვოკატირება/ადვოკაცია ორგანიზაციის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს. ადვოკატირება საზოგადოებრივი ორგანიზაციის ერთერთი მთავარი მიმართულებაა, რომლის საშუალებითაც იგი საჯარო პოლიტიკასა და პროცესებზე ზეგავლენას ახდენს:

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, მიზანშეწონილია სპეციფიკური <u>ამოცანების</u> შესრულება:

- პარლამენტთან ურთიერთობის განვითარება ქალებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ინტერესებისა და საჭიროებების პოლიტიკურ დღის წესრიგში ასახვის მიზნით;

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის განვითარება ქალებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ინტერესებისა და საჭიროებების ადგილობრივ პოლიტიკურ დღის წესრიგში ასახვის მიზნით;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის განვითარება ფემინისტური საკითხების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ცხოვრებაში მეინსტრიმინგის მიზნით;
- ქალებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დარღვევების დოკუმენტირება და ანგარიშგება;
- ქსელური მუშაობის განვითარება და ხელშეწყობა საერთო პრობლემებზე ორიენტირების მიზნით;

სტრატეგიული მიმართულება #6: დონორებთან ურთიერთობა

ორგანიზაციის ერთერთ სტრატეგიულ მიმართულებას დონორებთან ურთიერთობის გაღრმავება წარმოადგენს. სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, მიზანშეწონილია სპეციფიური <u>ამოცანების</u> შესრულება:

- დონორების მოთხოვნებისა და ინტერესების იდენტიფიცირება და შესწავლა;
- დონორების მოთხოვნებისა და ინტერესების ორგანიზაციის სტრატეგიულ მიზნებთან ადაპტირება;
- პოტენციურ დონორებთან აქტიური კონტაქტების დამყარება;

სტრატეგიული მიმართულება #7: კომუნიკაციის პროცესის მართვის დახვეწა და გაუმჯობესება

ორგანიზაციის ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს კომუნიკაციის პროცესის მართვის დახვეწა და გაუმჯობესება. სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, მიზანშეწონილია სპეციფიკური <u>ამოცანების</u> შესრულება:

- შიდა და გარე კომუნიკაციის სისტემის გაუმჯობესება;
- თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;

სტრატეგიული მიმართულება #8: ქალებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ინფორმაციული გაძლიერება

ორგანიზაციის ერთ-ერთ სტრაგეგიულ მიმართულებას წარმოადგენს ქალებისა და მოწყვლადი ჯგუფების ინფორმაციულობის გაძლიერება და ცნობიერების ამაღლება. სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, მიზანშეწონილია სპეციფიკური ამოცანების შესრულება:

- არაფორმალური განათლების ინსტრუმენტების გამოყენება;
- სექსუალური განათლების სკოლის შექმნა;
- ფემინისტური მედიაპლატფორმის შექმნა;
- სპეციფიკური კამპანიების განხორციელება;

სტრატეგიული მიმართულება #9: ორგანიზაციის, როგორც სანდო პარტნიორის პოპულარიზაცია და საზოგადოებრივი იმიჯის შექმნა

ორგანიზაციის ერთ-ერთ სტრაგეგიულ მიმართულებას წარმოადგენს ორგანიზაციის, როგორც სანდო პარტნიორის პოპულარიზაცია და საზოგადოებრივი იმიჯის შექმნა. სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, მიზანშეწონილია სპეციფიკური ამოცანების შესრულება:

- მედიასთან ურთიერთობის სისტემატიზაცია;
- ინტერნეტკომუნიკაციის ინტენსიფიკაცია;
- სტეიკჰოლდერებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება;
- საინფორმაციო მასალების გავრცელების უზრუნველყოფა პირდაპირი კომუნიკაციით;
- საზოგადოებისთვის გენდერულად მგრძნობიარე, თანასწორობისა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პოზიციის გაზიარება;

სტრატეგიული მიმართულება #10: ორგანიზაციული გაძლიერება/განვითარება

ორგანიზაციული გაძლიერება და განვითარება ორგანიზაციის ერთერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს. სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, მიზანშეწონილია სპეციფიკური ამოცანების შესრულება:

- ორგანიზაციული შეფასებისა და განვითარების გამართული მექანიზმების შექმნა;
- საერთო ღირებულებების ირგვლივ გაერთიანებული ძლიერი გუნდის შექმნა;

- მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზაციული სისტემის, შესაბამისი ტექნოლოგიებისა და ინფრასტრუქტურის არსებობა;
- ქალებთან და სხვა მოწყვლად ჯგუფებთან კომუნიკაციის გამართული მექანიზმების შემუშავება;

სტრატეგიული მიმართულება #11: სექსუალური განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა

საზოგადოებაში არსებობს არაერთი სტიგმა სქესობრივი განათლების საჭიროებასთან. დაკავშირებით. ქართული განათლების სისტემა არ ითვალისწინებს სექსუალურ-რეპროდუქციულ განათლებას.
სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, მიზანშეწონილია სპეციფიკური <u>ამოცანების</u> შესრულება:

- არაფორმალური განათლების ინსტრუმენტების გამოყენება;
- სპეციფიკური საგანმანათლებლო კამპანიების განხორციელება;

სტრატეგიული მიმართულება #12: ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის იდეის შესახებ ახალგაზრდებში ცნობადობის ამაღლების ხელშეწყობა

ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის იდეის შესახებ ახალგაზრდებში ცნობადობის ამაღლება ორგანიზაციის ერთერთ სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს. სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, მიზანშეწონილია სპეციფიკური <u>ამოცანების</u> შესრულება:

- არაფორმალური განათლების ინსტრუმენტების გამოყენება;
- სპეციფიკური საგანმანათლებლო კამპანიების განხორციელება;